საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-941

21/11/2018

ქ. თბილისი

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის მიმდებარედ, მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს, ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით აღნიშნული ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას, რომელიც განლაგებულია ფ/პ მალხაზი ჭიჭიბოშვილის“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმეა 150 მეტრი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა შეადგენს 1 250 000$მ^3$ -ს წელიწადში.

სალიცენზიო ობიექტის უბანი საჭიროებს ე.წ. თავმორთულობის მოწყობას და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას.

საპროექტო ტერიტორია ყვარლიდან დაშორებულია დაახლოებით 21კმ-ით, უახლოესი საავტომობილო გზიდან 15 მეტრზე მეტი მანძილით.

წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის მიხედვით დამტკიცებულ იქნა ალაზნის არტეზიული აუზის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიწისქვეშა წყლების მარაგები $A+B+C_2$ კატეგორიით. სალიცენზიო ჭაბურღილის საექსპლუატაციო მარაგი 1 250 000$მ^3$ მოცულობა/წელიწადში წარმოდგენილია C_2 კატეგორიით.

ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა ობიექტები. ჭაბურღილის მიწისზედა ინფრასტრუქტურის (ჭაბურღილის თავმორთულობა) მოწყობის ეტაპზე და ასევე ტერიტორიის შემოღობვისას ადგილი ექნება ნარჩენების წარმოქმნას, თუმცა ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის და ნარჩენების რაოდენობის გათვალისწინებით ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს ნიადაგის და მიწის დაბინძურებას. საქმიანობის შედეგად არ არის მოსალოდნელი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება.

ჭაბურღილთან ახლოს არ მდებარეობს რაიმე სხვა პოტენციური დაბინძურების წყარო, აქედან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. გეოსაინფორმაციო პაკეტში წარმოდგენილი დასკვნის თანახმად წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან, აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

აღნიშნული საქმიანობა არ უკავშირდება რაიმე სახის მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკს. სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შეფასებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყვარლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი